



MES 4 22 0000101436



02/02/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 18.01.2022-19.01.2022

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 01:40სთ (19.01.2022)

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს მოადგილე
2	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3	ქეთევან ინანაშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
4	ლალი ოდიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	ქეთევან თელია	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	სოფიკო ქურასბედიანი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო	სტატუსი	საკითხი
---	---------------	-----------------	---------	---------

		დაწესებულების დასახელება		
1	მოგელი შენგელია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	მამუკა თავხელიძე		უნივერსიტეტის რექტორი	I
3	ნინო შოშიტაშვილი		ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	I
4	ირაკლი შარაბიძე		რექტორი, ნავიგაციის ფაკულტეტის პროფესორი	
5	მურთაზ დევიძე		რექტორის მოადგილე	
6	ნინო ყურშუბაძე	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის საზღვაო აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	
7	რუსუდან ყიფიანი		იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, ასისტენტი	
8	ამირან ბერძენიშვილი		პროფესორი	II
9	მიხეილ ლეჟავა		პროფესორი, საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	ზაზა შუბლაძე		პროფესორი, საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV
12	ოთარ გელაშვილი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	III
13	ნათია ბუთხუზი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის	III

14	რამილ ზუკაკიშვილი
15	რაულ თურმანიძე
16	მერაბ შვანგირაძე
17	ნუგზარი მურღულია
18	გივი სანაძე
19	გიორგი მუშკუდიანი
20	პანტიკო თორდია
21	დავით ბესტავაშვილი
22	მზია ოსიაშვილი
23	გიორგი მაისურაძე
24	მიხეილ როგავა
25	რომან იჩქიტაძე
26	კახა ჟღენტი
27	კოკა ჯაფარიძე
28	ერეკლე სამანიშვილი
29	გიორგი კაკაბაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საავიაციო ინჟინერიის“ ხელმძღვანელი	III
მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი,	III
პროფესორი	III
პროფესორი	III
მოწვეული პროფესორი	III
მოწვეული პროფესორი,	III
შპს „თამ მენეჯმენტის“ დირექტორი	III
ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრის მეთაური	III
საავიაციო აკადემიის ხელმძღვანელი	III
ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრის სკოლის უფროსი	III
შპს „თამ მენეჯმენტის“ დირექტორის მოადგილე	III
„თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის მოადგილე	III
შპს „თამ მენეჯმენტის“ დირექტორის მოადგილე	III
შპს „თამ მენეჯმენტის“ მთავარი კონსტრუქტორი	III
ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ავიაციის მთავარი ინჟინერი,	III
	III

			„თბილავიამშენის“ ხარისხის მართვის სპეციალისტი	
30	ნანული დანელია		სტუ-ის ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
2	სოფიო კილასონია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
4	მანანა მოისწრაფიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ნინო გორგოშაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	მაკა აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	თამარ გვინიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	ბექა ბუიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	სეით ბლიაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	გიორგი მაყაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ალექსანდრე ჯინჯიხაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	გიორგი ნეფარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

კი

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი ლალი ოდიშვილი, საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №10889 სხდომის ოქმის №01 ნაწილში და 2022 წლის 11 იანვრის №11010 "შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ;

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის №22111 "სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №10889 სხდომის ოქმის №01 ნაწილში და 2022 წლის 11 იანვრის №11010 "შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ;

ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №10889 სხდომის ოქმის №01 ნაწილის ცხრილში, სადაც მოცემულია ინფორმაცია „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ შესახებ და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №11010 გადაწყვეტილების დანართში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ნაცვლად "განათლების მაგისტრისა" სწავლის სფეროების კლასიფიკატორის

და მასწავლებლის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით მითითებული უნდა იყოს "განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი)".

საბჭოს იმსჯელა აღნიშნული შუამდგომლობის შესახებ და დოკუმენტაციასთან თავსებადობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გადაწყვეტილებასა და ოქმში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №10889 სხდომის ოქმის №01 ნაწილში და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №11010 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს ცვლილება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი)**

2. მეორე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის №22111 "სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის №22111 გადაწყვეტილების გაფორმების პროცესში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი და გადაწყვეტილების ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად "1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით." უნდა იყოს "1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით."

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის №22111 გადაწყვეტილების ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი

რედაქტირებით:” 1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.”

3. მესამე საკითხი : შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა; პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.04.2011, გადაწყვეტილება N254
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ), თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩაინიშნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 ოქტომბრის ბრძანების თანახმად. ვიზიტი წარიმართა ჰიბრიდულად 9 და 10 ნოემბერს, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების მიმდინარეობისას.

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დღის წესრიგით გათვალისწინებული სესიების მიხედვით. ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. შეხვედრები წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. ინტერვიუები ჩატარდა ღიად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ზედმიწევნით და ამომწურავად შეეჯერებინათ დოკუმენტური მასალები რეალურ ვითარებასთან.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველსტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი: „ჟურნალისტიკა, შესავალი“ გადავიდეს I სემესტრში (მის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებული რეკომენდაცია იხ. კომპონენტში 2.3);
2. რეკომენდებულია, რომ აკადემიურ პროგრამას ჰქონდეს შემაჯამებელი პრაქტიკული პროექტი.
3. რეკომენდებულია, რომ აკადემიურ პროგრამაში სასწავლო კურსს, ჟურნალისტური წერა 1 - ან დაერქვას მისი შინაარსის შესაბამისი სახელი (რაც კავშირში იქნება ქართულ მართლწერასთან და სალიტერატურო ნორმების დაცვასთან), ან მისი შინაარსი მოერგოს ჟურნალისტური წერის საფუძვლებს. შესაბამისად, თუკი ამ სასწავლო კურსში აქცენტი გაკეთდება ჟურნალისტურ წერაზე, შეიცვალოს მისი შინაარსი და ის ორიენტირებული გახდეს ახალი ამბების პოვნასა და წერაზე, ამბის ტექსტის აგებაზე და ყველა იმ კომპონენტზე, რაც ახალია ამბების წერის საფუძვლებში შესაძლოა იყოს წარმოდგენილი:

ამბის სტრუქტურა, წყაროები, ინტერვიუ, ლიდი და ა. შ. რეკომენდებული სახელმძღვანელოა - მეღვინ მენჩერი, ახალი ამბები გაშუქება და წერა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, გამომცემლობა დიოგენე, 2013 (ეს სახელმძღვანელო გამოყენებულია მეორე სემესტრის საგანში - ახალი ამბები მულტიპლატფორმული მედიისთვის, თუმცა წიგნი მოცულობითი და დეტალურია და მისი თავების კონკრეტულ საკითხებზე გადანაწილება რაციონალურად ორივე საგნის ფარგლებშია შესაძლებელი).

4. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო პროგრამაში ან ისწავლებოდეს კურსი - აკადემიური წერა, ან რომელიმე სასწავლო კურსის/ების ფარგლებში სრულფასოვნად იყოს წარმოდგენილი აკადემიური წერის კომპონენტები: არგუმენტირებული ესე, სამეცნიერო ტექსტის სახეობები, ნაშრომის შექმნის ძირითადი პრინციპები, ციტირება, სამეცნიერო ეთიკა, პლაგიატი და ა. შ.
5. რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი პროფესიული ეთიკისა და თვითრეგულირების საკითხები (ფაქტების სიზუსტე; წყაროებთან მუშაობა და მათი გადამოწმება, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა; ინფორმაციის ანონიმურ წყაროებთან მუშაობა, მათი კონფიდენციალობის საკითხი; შესწორება და პასუხის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საზოგადოებრივი ინტერესი; ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები და ა.შ.)
6. რეკომენდირებულია, სტუდენტებში გაიზარდოს და წახალისდეს კვლევით პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა. უსდ-მ იმუშაოს ამ მხრივ ადგილობრივ და განსაკუთრებით საერთაშორისო პროექტებზე.
7. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჟურნალისტური ტექსტის წერის სასწავლო კურსი ნამდვილად არის გათვალისწინებული პირველ სემესტრში, მაგრამ ამ ეტაპზე ისწავლება ტექსტის არა ემოციურ-არსობრივი, არამედ მისი ფორმალური სტრუქტურა, როგორც საფუძველი გამართული ჟურნალისტური ტექსტის წერისთვის. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ მოვალეობებს, როლისა და სტანდარტების საფუძვლების ცოდნას, თუმცა საყურადღებოა, რომ პირველ სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი „მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, რომელიც ერთი მხრივ სემიოტიკით, სიტყვას, როგორც ბაზისურ ერთეულს, მეორე მხრივ კი ერთგვარად ამზადებს სტუდენტს „ჟურნალისტიკის შესავალში“ წარმოდგენილი თემების გააზრებული შესწავლისთვის, რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ვიზუალური თხრობის ნაწილს, დაწესებულება თეორიულ განსჯაში ეთანხმება ექსპერტებს, მაგრამ ამ მითითების პრაქტიკულ საფუძველს პროგრამა არ იძლევა, რადგან დისციპლინები სწორედ ისეა სტრუქტურირებული, რომ სტუდენტმა შეძლოს რეკომენდაციით განსაზღვრული მიზნის მიღწევა. კერძოდ, სასწავლო დისციპლინის „ახალი ამბები მულტიპლატფორმული მედიისთვის“, გავლის შემდეგ სტუდენტი ხსნის ახალი ამბების მნიშვნელობას, ღირებულებას, კომპონენტებს. აღნიშნული კურსი არ გულისხმობს ახალი ამბების ვიდეო პროდაქშენს, ამ ამოცანას ასრულებს სხვა დისციპლინები, რომლებიც ჩართულია პროგრამაში სწორედ სასწავლო კურსების - „ვიზუალური თხრობა“ და „ახალი ამბები მულტიპლატფორმული მედიისთვის“ გავლის შემდეგ, ამასთან ეს კურსები განთავსებულია ისე, რომ სტუდენტმა ადვილად აითვისოს,

გაიაზროს მასალა და მოემზადოს პროდაქშენ ისთვის. ამდენად „ვიზუალური თხრობის“ პირველ სემესტრში გადატანის საჭიროება არ არსებობს.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ფორმულირებისას ამგვარი პროექტის საჭიროებას განიხილავდა პროგრამის კომიტეტიც, მაგრამ საერთო გადაწყვეტილებით ეს არ ჩაითვალა მიზანშეწონილად. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში მთელ რიგ სასწავლო კურსებში, სტუდენტი დამოუკიდებლად აცხადებს სხვადასხვა სახის მედიაპროექტის, პრობლემურ სტატიას, ნარკვევს, პამფლეტს, პრესკონფერენციის ანგარიშს, ბლოს, ვლოგს, პიდკასტენს, საინფორმაციო სიუჟეტს, დღის საინფორმაციო გამოშვების პროექტს, სხვადასხვა მედია პროექტს და ა.შ. აღნიშნული სრულად იძლევა სწავლის განმავლობაში სტუდენტის მიერ მიღებული ცონის, პრაქტიკული უნარებისა და ავტონომიურობის სრულფასოვანი გამოვლენის შესაძლებლობას და სწორედ აჯამებს კონკრეტული სფეროს სწავლის შედეგებს. მათი მომზადებისას სტუდენტებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, მათ შორის თანამედროვე მედიასაშუალებებში დასაქმებული პრაქტიკოსი ჟურნალისტები. ამგვარი პროექტის მოთხოვნა შეფასების თვალსაზრისით არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს სტუდენტებს, რაც სავსებით დამსახურებულად იქნებოდა ექსპერტული კრიტიკის საგანი. ასეთი პროექტებისთვის საჭირო იქნებოდა დამატებით დროსა და კრედიტების გამოყოფა, რაც შეზღუდავდა იმ დისციპლინების სრულფასოვან სწავლებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ჟურნალისტის მომზადებისთვის. ამგვარად, ექსპერტთა პათოსი გასაზიარებელია, თუმცა რეკომენდაციის შესრულება არ შეუწყობს ხელს პროგრამის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას, მით უფრო, არ შეცვლის შედეგის მიღწევის კონტექსტს, პირიქით, შეიძლება დაარღვიოს შეფასების პრინციპები.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, „ჟურნალისტური ტექსტის წერა 1“ არის ერთი მთლიანი კურსის ერთი ნაწილი, რომლის გაგრძელებაა „ჟურნალისტური ტექსტის წერა 2“. ორივე კურსი, იერარქიულად, შეიცვას ყველა იმ შემეცნებით ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ჟურნალისტური ტექსტი გამართული წერის უნარის ფორმირებისთვის. მისი დიაპაზონი მოიცავს სალიტერატურო ენობრივი ნორმების სწავლებას პრაქტიკულ, მათ შორის ახალი ამბების ტექსტების წერის კონტექსტში. ეს დისციპლინა ქმნის საფუძველს ჟურნალისტური ტექსტის შექმნისთვის აუცილებელი უნარების გასავითარებლად, რაც შემდგომ, სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში მტკიცდება კონკრეტულ ჟანრობრივ ტექსტებზე მუშაობის დროს.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფორმირების პროცესში პროგრამის კომიტეტმა აკადემიური წერა ამოიღო კურიკულიმიდან, რადგან ჩათვალა, რომ ამ დისციპლინას ბევრი თემატური კვეთა აქვს სასწავლო კურსთან „ ჟურნალისტური ტექსტის წერა 1“, რაც პროგრამას დატვირთავდა დუბლირებული მასალით. ამავე დროს, ამ დისციპლინის ამოღებამ, კომიტეტს საშუალება მისცა პროგრამაში შეეტანა სპეციალობის ახალი დისციპლინები, რომლის აუცილებლობა განაპირობა თანამედროვე ჟურნალისტური ტექნოლოგიებისა და ფორმები განვითარებამ.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, წინამდებარე პროგრამის სასწავლო კურსში პროფესიული ეტიკა და მედიის სამართლებრივი რეგულირება, როგორც თავად დასკვნაშივეა აღნიშნული კარგად არის პროფესიული ეტიკის საკითხი ინტეგრირებული მედიის სამართლებრივი რეგულირების თემატიკასთან, ეს საკითხები განხილულია შესაბამისი ასპექტითა და დოზით, აგრეთვე სასწავლო დისციპლინის „ჟურნალისტის შესავალი“ ფარგლებში, მეტი აქცენტები კეთდება პრაქტიკული კურსების სწავლების დროსაც, რაც ადასტურებს ამ კურსებში სტუდენტთა შეფასების კომპონენტში პროფესიული ეტიკის ნორმების დაცვით შესრულებული დავალებების შეფასება. ამავე დროს, პრაქტიკული დისციპლინების ფარგლებში შეისწავლიან ინფორმაციის მოძიებას, გადამოწმებას, დამუშავებას, რთულ რესპოდენტებთან ურთიერთობას, ანონიმურ და კონფიდენციალურ წყაროებთან მუშაობას, რაც პირდაპირ კორელაციაშია პროფესიული ეტიკის ნორმებთან.

მნიშვნელოვანია ასევე პლაგიატის საკითხი, კერძოდ, უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატის სისტემა - „ტურნიტინის პროგრამა“. ამავე დროს შემუშავებულია ინსტრუქცია - პლაგიატი და მისგან თავის დაცვა, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხელმისაწვდომია სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხოლო ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში განმარტებულია პლაგიატი და მითითებულია მოთხოვნა პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია და ზოგადად 3.1 სტანდარტში მოცემული ანალიზი ეწინააღმდეგება პროექტის 2.4 სტანდარტთან არსებულ ჩანაწერს. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს მიხედვით, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ პროექტებსა და აქტივობებში, რაც ავითარებს მათ სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და ტრანსფერტულ უნარებს. ამ თვალსაზრისით სახელდება სხვადასხვა პროგრამა და პროექტი. ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია. მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს ტრენინგების სილაბურები, ჩატარების გრაფიკი და კონსულტირების მრავალმხრივი ფორმა. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომია პერსონალისთვის. სისტემურად ტარდება სხვადასხვა თემატური ტრენინგები პერსონალისთვის. შექმნილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეგზური. ხარისხის სამსახური კონსულტანტთან ჯგუფი, მორიგეობის განსაზღვრული გრაფიკის დროს, მზად არის კონსულტაცია გაუწიოს ნებისმიერ თანამშრომელს. დაწესებული ასევე პერსონალის წახალისების ფორმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა „რიდერების“ საკითხი და განმარტა, რომ ისინი მოცემულია საკმაოდ მცირე მოცულობით, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამას სასწავლო გეგმაში მე-8 სემესტრში აქვს პროფესიული პრაქტიკა, რაც მოიცავს მედია პროდუქტის მომზადებას, მედია ორგანიზაციაში ვიზიტის შემდგომ. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ და რეკომენდაციაში აღნიშნული ასახვის დასაბუთებისკენ. რაც შეეხება აკადემიური წესი დამატების საკითხს, საბჭოს წევრი სრულიად იზიარებს ექსპერტთა მოცემულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, „რიდერებთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხი განსაზღვრულია რჩევის სახით. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში არ არის დაზუსტებული, თუ რა სავალდებულო თუ დამატებითი ლიტერატურა აქვს კონკრეტულად ლექციიდან-ლექციამდე წასაკითხი სტუდენტს. სასურველია, რომ ეს საკითხი ყველა სილაბუსში ზედმიწევნით გაიწეროს. მაგალითისთვის, თუკი ლექტორს სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული აქვს „რიდერი“, შემდეგ ლექციების ნაწილში ასევე უთითებს მხოლოდ „რიდერს“ და არა კონკრეტულ გვერდებსა თუ თავებს ამ „რიდერებიდან“. აქვე აღვნიშნავთ - სასურველია, რომ ამ რიდერებში მითითებული იყოს, რომელი წყაროებით ხელმძღვანელობენ ლექტორები მათი შედგენისას ანუ რომელი სახელმძღვანელოების, წიგნებისა თუ სტატიების მიხედვით არის წასაკითხი სავალდებულო მასალა მომზადებული.

რაც შეეხება შემაჯამებელ პროექტს, იმისთვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ავტონომიურობის სრულფასოვნად გამოვლენის შესაძლებლობა, პროგრამას უნდა ჰქონდეს ფინალური, შემაჯამებელი კომპონენტი, ე.წ. capstone project, რომელსაც ექნება ადეკვატური კრედიტ-წონა. აკადემიურ პროგრამაზე მიბმული ე.წ. სახელოსნოების პრაქტიკა, რასაც უსდ თვითშეფასების ანგარიშში ინოვაციად მიიჩნევენ, იძლევა ასეთი ფინალური პროექტის გაკეთების შესაძლებლობასაც და რესურსსაც. რეკომენდაციის

მიხედვით, პროექტების ხელმძღვანელობა უნდა მიენდოთ პრაქტიკოს და თანამედროვე მედიასაშუალებებში დასაქმებულ პროფესიონალებს. პროექტები შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფორმატში, თუმცა უნდა ეფუძნებოდეს რეალურ ჟურნალისტურ კვლევასა და შესრულებული უნდა იყოს თხრობის თანამედროვე ტექნიკების გამოყენებით. აქვე, სასურველია, თუკი ამ და სხვა პროექტების პრეზენტაბელურად წარმოდგენისთვის უსდ-ს ექნება სპეციალური პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები შეძლებდნენ საკუთარი პორტფოლიოების შექმნასაც, რაც მათთვის სამომავლოდ იქნებოდა სასარგებლო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მთელ რიგ სასწავლო კურსებში, სტუდენტი დამოუკიდებლად აცხადებს სხვადასხვა სახის მედიაპროექტს, პრობლემურ სტატიას, ნარკვევს, პამფლეტს, პრესკონფერენციის ანგარიშს, ბლოგს, ვლოგს, პოდკასტს, საინფორმაციო სიუჟეტს, დღის საინფორმაციო გამოშვების პროექტს, სხვადასხვა მედია პროექტს და ა.შ. აღნიშნული სრულად იძლევა სწავლის განმავლობაში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ავტონომიურობის სრულფასოვანი გამოვლენის შესაძლებლობას და სწორედაც აჯამებს კონკრეტული სფეროს სწავლის შედეგებს. მათი მომზადებისას სტუდენტებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, მათ შორის თანამედროვე მედიასაშუალებებში დასაქმებული პრაქტიკოსი ჟურნალისტები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:14

დასრულების დრო: 16:57

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტის 2.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის საფუძველზეც მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ასევე 4.3 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია სტანდარტის ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს აკადემიური წერის სტანდარტების ამსახველი საკითხები;

2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი პროფესიული ეთიკისა და რეგულირების საკითხები (ფაქტების სიზუსტე; წყაროებთან მუშაობა და მათი გადამოწმება, ფაქტისა და კომენტარის გამოიჯვანა; ინფორმაციის ანონიმურ წყაროებთან მუშაობა, მათი კონფიდენციალობის საკითხი; შესწორება და პასუხის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საზოგადოებრივი ინტერესი; ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები და ა.შ.) ;
3. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სავალდებულო მასალა კურსის შინაარსის შესაბამისად და რიდერის გამოყენების შემთხვევაში მიეთითოს რელევანტური წყაროები;
4. რეკომენდებულია, უსდ-ს შექმნას ვებ-პლატფორმა, სადაც თავმოყრილი და თვალსაჩინო იქნება სტუდენტური პრაქტიკული პროექტები;
5. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრენინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

რჩევები:

1. სასურველია, მკაფიო და ხილვადი გახდეს სასწავლო პროგრამის შედეგები. მიეცეს მას ისეთი ფორმა, რომელიც დაგვანახებს რომ კურსდამთავრებული ჟურნალისტი ფლობს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობას, რომელიც შეესაბამება როგორც სასწავლო სტანდარტს, ისე პროფესიულ საჭიროებებს. შეფასების საფუძველი იყოს აუცილებლად შესასრულებელი დავალებები და პროექტები და მსგავსი შედეგები არ იყოს იშვიათი გამონაკლისები;
2. სასურველია, სასწავლო პროგრამა მეტად ინტენსიურად თანამშრომლობდეს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სტუდენტებს სთავაზობდეს ინტენსიურ პრაქტიკას უნივერსიტეტის გარეთ;
3. სასურველია, სასწავლო პროგრამამ გააძლიეროს ის კომპონენტები, რომელიც კურსდამთავრებულში გააძლიერებს ავტონომიურობას განცდას, რაც ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტები საკუთარი პროექტის, ან ნამუშევრის ავტორი იქნება და არა პედაგოგის ასისტენტი და ამ როლში იქნება ხშირად;
4. სასურველია, რომ სასწავლო კურსებს - „ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 1“ და „ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 2“ შეეცვალოს სტატუსი არჩევითიდან სავალდებულოსკენ;
5. სასურველია, რომ სასწავლო კურსებში, მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალი ამბების მოპოვებაზე, ფაქტების მოძიება-დამუშევებაზე, წყაროებთან მუშაობაზე და მასალების სხვადასხვა ფორმატში ჟურნალისტური სტანდარტისა და პროფესიული ეთიკის დაცვით თხრობაზე, ვიდრე მხატვრულ-პუბლიცისტური ჩანახატებისა და ნარკვევების წერაზე. აქვე, სასურველია, რომ სასწავლო კურსში „ჟურნალისტური ტექსტის წერა, 2“ მეტი აქცენტი გაკეთდეს თანამედროვე მედიასაშუალებებისთვის მოთხოვნების შესაბამისი ჟურნალისტური ტექსტების წერის ტექნიკებზე და არა მხატვრულ-პუბლიცისტურ წერაზე;
6. სასურველია, რომ პრაქტიკული სავალდებულო კურსების ფარგლებში დაინერგოს მონაცემთა ჟურნალისტიკის საკითხები;
7. სასურველია, რომ სასწავლო კურსებში „ბეჭდური მედია“ და „ქართული პრესა“ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თემატიკა და გამრავალფეროვნდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, სასურველია, რომ „ბეჭდურ მედიაში“ გაჩნდეს პრაქტიკული კომპონენტი;
8. სასურველია, რომ პრაქტიკულ ჟურნალისტურ საგნებში შუალედური და დასკვნითი დავალებები უმეტესწილად მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტებს;

9. სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო მასალებში სავალდებულოდ და დამატებით წასაკითხი მასალა მიეთითოს გვერდების ან თავების მიხედვით;
10. სასურველია აკადემიურ პროგრამაში გაძლიერდეს შემაჯამებელი პრაქტიკული პროექტი;
11. სასურველია ლექტორებთან გაიმართოს შეხვედრები, პროგრამაში ქულების დროულად შეტანასთან დაკავშირებით;
12. სასურველია, პლაგიატის პროგრამის უფრო აქტიური გამოყენება და სტუდენტების ინფორმირება მის შესახებ;
13. სასურველია, სტუდენტებში გაიზარდოს და წახალისდეს კვლევით პროექტებში, მონაწილეობა. უსდ-მ იმუშაოს ამ მხრივ ადგილობრივ და, განსაკუთრებით, საერთაშორისო პროექტებზე;
14. სასურველია, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში სტუდენტების უფრო წარმომადგენლობითი ჩართულობის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება;
15. სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, ამასთანავე გაიმართოს ინფორმაციული სახის შეხვედრები სტუდენტებთან სადაც საუბარი იქნება უნივერსიტეტის მიერ გაცვლითი პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობასა და ამ შესაძლებლობების გამოყენების სიკეთეებზე;
16. სასურველია სამომავლოდ გამრავალფეროვნდეს პრაქტიკულ მუშაობაში ჩართული პედაგოგების არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ გამოცდილებაც. ჩაერთონ სხვადასხვაგვარი ხედვის, სტილის, გამოცდილების და მიდგომების პედაგოგები;
17. სასურველია, ბიუჯეტის იმდგვარი განვითარება, რომ გაიზარდოს მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;
18. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიწეროს ბექდური მედიის (როგორც ქართული, ისე დასავლური გამოცემები) შესყიდვის ხარჯები;
19. სასურველია მეტი ინტენსიურობით კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან იმ მიზნით, რომ პროგრამამ გაიზიაროს ბაზარზე დარგის სხვადასხვა სეგმენტში დანერგილი უახლესი მოვლენები;
20. სასურველია, თუ საგანმანათლებლო პროგრამის შედარებას პროგრამის განმახორციელებელი პირები მოამზადებენ ქართულ უსდ-ებში მოქმედი მსგავსი პროგრამების მიმართ ქართულ მედიაბაზარზე საკუთარი პოზიციის განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.03.2018, გადაწყვეტილება N42
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი საზღვაო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ბათუმი 6010, რუსთაველის ქ. N53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 11-12 ნოემბერს.

აკრედიტაციის პროცედურა ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით და ექსპერტთა სრული შემადგენლობით ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (11 ნოემბერს) გავლილ იქნა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის ძირითადი საკითხები. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს. ვიზიტის განმავლობაში შედგა შეხვედრები: თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. მეორე ეტაპზე (12 ნოემბერს) აკრედიტაციის ჯგუფის წევრის მიერ ადგილზე ვიზიტით და დანარჩენი წევრების დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; მათ შორის ბიბლიოთეკა, სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები. სააკრედიტაციო პროცედურა წარმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს ერთჯერადად და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, ნორმატიულ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“ განხორციელდა ცვლილებები, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს ერთჯერადად (დანართი 1.1). იდენტური ცვლილება გათვალისწინდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ბრძანების მიხედვით ის სისტემა რაც ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰქონდა ამ ეტაპზე უკვე დასაშვებია. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რას აპირებს მომავალში ინსტიტუცია და რა პოზიცია აქვს საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რამდენად იყო შეფასება ნაწილობრივ შესაბამისი, გარდა ამისა, დააზუსტა ჰყავს თუ არა პროგრამას კურსდამთავრებულები და მათ შემთხვევაში როგორ განხორციელდა შეფასება.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული დარგი ექვემდებარება სერთიფიცირებას, საზღაო ინჟინერიის მაგისტრის ხარისხი გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა კურსდამთავრებულისთვის, რაც თავის მხრივ მისასაღებელია, თუმცა საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულებას ამ კუთხით პოზიციის დაფიქსირებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა შემთხვევაში ხდება სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომზე დაშვება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შრომის ბარზრის ანალიზი, მოცემულია მხოლოდ ჩამონათვალი იმისა, თუ სად შეუძლიათ სტუდენტებს მუშაობა. გარდა ამისა, ბიუჯეტი წარმოდგენილია ექსელის ფაილის სახით, შესაბამისად რთული იყო დეტალურად გარკვევა იმაში, არის თუ არა სამაგისტრო კვლევისთვის გარკვეული ხარჯები გათვალისწინებული. საბჭოს წევრმა ისაუბრა ასევე სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასკვნები არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, გარდა ამისა, მოცემულია რუსულ-ქართული ლიტერატურა, თან საკმაოდ ცოტა რაოდენობის, ხოლო ერთ-ერთ ნაშრომში კი მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის წარმოდგენილი. ამასთან, რიგ შემთხვევებში, მითითებულია ასევე ვებ-გვერდები. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა დოკუმენტები არსებობს დაწესებულებაში და როგორ რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომების გაფორმება.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუსტა კვალიფიკაციის საკითხი და მოუწოდა დაწესებულებას საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა რჩევა პერსონალის რეფორმირებასთან დაკავშირებით და დააზუსტა იყო თუ არა ამ მხრივ რამე წინააღმდეგობა და შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომები უფრო მეტად ცოდნის გადრმავებას ემსახურება, ვიდრე კვლევას. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად არის მოთხოვნა მოცემულ დარგში მაგისტრის ხარისხის მქონე ადამიანებისთვის და რატომ არ არის დამაკმაყოფილებელი მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რჩევა, რომელიც ეხებოდა კვლევითი ნაწილის გაძლიერებას და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაცია - ინჟინერიის მაგისტრი საზღვაო ინჟინერიაში, შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებში არსებულ ლიტერატურას, ძირითადად მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში არიან უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად ეყრდნობოდნენ რუსულ განათლებას. შესაბამისად, აღნიშნული შედეგი მხოლოდ ამ საფუძვლით არის გამოწვეული. გამომდინარე აქედან, უმჯობესია სამომავლოდ მოცემული კუთხით განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები.

ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ნაშრომების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მიერ საკვლევი თემის გარშემო გამოყენებული ლიტერატურათა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამასთან ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის

ლიტერატურა და შესაბამისი მიმოხილვა უმეტესად მოიცავდა რუსულენოვან წყაროებს. სასურველია, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რომლებთან წვდომაც უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო სივრცეში. შესაბამისად, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას რათა მეტად მოხდეს სტუდენტთა კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. რაც თავისთავად გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტს მოეთხოვება შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა, ექსპერიმენტის ან კვლევის ჩატარება და დასკვნების გაკეთება.

დაშვების წინაირობასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაში არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რაც საჭიროებს ჩასწორებას. კერძოდ, პროგრამის აღწერაში სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა პროგრამით გათვალისწინებული 90 კრედიტი, ხოლო ამავე პროგრამით წარმოდგენილ დაშვების წინაპირობების ცხრილში კი მხოლოდ 6 სასწავლო კურსი 30 კრედიტის მოცულობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2018 წელს, შესაბამისად წარმოდგენილი ნაშრომები იყო წინა წლების. 2020 წელს შევიდა ცვლილება დებულებაში, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და გაფორმების წესს. შესაბამისად, ახალი ნაშრომები, რომლებიც ბოლო პერიოდში დაიწერა, შემუშავებულია აღნიშნული ფორმატით.

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემას, აღნიშნული წარმომადგენს განხილვის თემა. ფაკულტეტი გააკეთებს ანალიზს და მიღებული იქნება გადაწყვეტილება, თუ სამომავლოდ როგორც მოხდება შეფასება, რათა პროგრამა გავიდეს უკეთეს შედეგებზე.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ 2019 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს და საზღვაო აკადემიის წარმომადგენლებთან მიღწეული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის განისაზღვრა კომპეტენციის დადასტურების და კომპეტენციის სერტიფიკატის მოპოვების პირობები. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ინჟინერიის მაგისტრს საზღვაო ინჟინერიაში კომპეტენციის სერტიფიკატის მოპოვების საფუძველზე შეეძლება გემის მექანიკოსისა და გემის ელექტრომექანიკოსის პოზიციების ინტეგრირება, რაც კურსდამთავრებულის კარიერული ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის მოთხოვნებთან და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:40

დასრულების დრო: 18:31

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ 1.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება. ასევე, 2.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება და იგი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ასევე 3.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მესამე სტანდარტის ცვლილება. ასევე 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის რელევანტური კვლევა;
2. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებში მკაფიოდ იქნას წარმოჩენილი კვლევითი კომპონენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება დარგის უახლეს მიღწევებზე;
3. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების მოქმედ რედაქციასთან;
4. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, სანდო წყაროების ინტეგრირება, საკვალიფიკაციო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;
5. რეკომენდირებულია სრულყოფილად ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები.

რჩევები:

1. სასურველია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის რიგი შედეგები;
2. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა სამაგისტრო საფეხურისაა და კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს კვლევითი უნარები, მისი მაღალ დონეზე ფლობისთვის სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში გაამრავალფეროვნოს არჩევითი სასწავლო კურსები დარგის განვითარებისთვის საჭირო მომიჯნავე დარგებიდან ცოდნის მიღების თავალსაზრისით;
3. სასურველია გასწორდეს პროგრამის აღწერაში სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა და ნაცვლად „პროგრამით გათვალისწინებული 90 კრედიტისა“ მიეთითოს ამავე პროგრამით წარმოდგენილ დაშვების წინაპირობების ცხრილში მოტანილი 6 სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი 30 კრედიტი;

4. სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში;
5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასურველია იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, გაეზარდოს საკონტაქტო საათები;
6. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იღებდეს მონაწილეობას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში;
7. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გამოიკვეთოს სამაგისტრო კვლევის ხარჯები;
8. დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში გააძლიეროს ძალისხმევა პერსონალის ინფორმირების თვალსაზრისით;
9. საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით სასურველია შეიქმნას დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე კოლეგიალური შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საავიაციო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საავიაციო ინჟინერიაში

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქუჩა N68, ქ. თბილისი 0175, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პირველი სასწავლო კორპუსი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საავიაციო ინჟინერიის“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 16 და 17 სექტემბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, ასევე 16 სექტემბერს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ასევე ვიზიტის

განმავლობაში ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები), გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამის დასახელებასა და შინაარსთან.
2. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით.
3. დაკონკრეტდეს პროგრამის მესამე მიზანი და მკაფიოდ გაიწეროს თუ რომელ პროცესებში მონაწილეობის უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული პროგრამა.
4. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
5. პროგრამის შედეგების სრულად მიღწევისას შესაძლებლობის დადასტურების მიზნით პირველ რიგში უნდა დადასტურდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის ჩამოყალიბებაში მონაწილე სასწავლო კურსების შედეგების მიღწევადობა მათი შინაარსის, გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის, შეფასების კომპონენტების და ა.შ. რელევანტურობის დადგენის შედეგად.
6. უნდა გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში სწავლის ძირითადი სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტების თანაფარდობა.
7. რეკომენდებულია პროგრამის დასახელება განისაზღვროს პროგრამის შინაარსის შესაბამისად.
8. რეკომენდებულია პროგრამის შინაარსი სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან საერთაშორისო საავიაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.
9. რეკომენდებულია პროგრამის არსებულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი თემატიკა: CFD (Computational Fluid Dynamics) პროგრამები, ეროვნული და საერთაშორისო საავიაციო კანონმდებლობა და სტანდარტები, ადამიანის ფაქტორი ავიაციაში, დარგობრივი ინგლისური ენა ან დაემატოს ამავე თემატიკის შემსწავლელი სასწავლო კურსები.
10. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს საავიაციო ინჟინერიის დასახელების ქვეშ არსებული ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორცაა: საფრენი აპარატების ფუნქციური სისტემების დაპროექტება, საფრენი აპარატის კაბინისა და საბორტო სისტემების დაპროექტება.

11. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები: სარაკეტო ტექნიკის საფუძვლები, საფრენი აპარატის ავარიული გადარჩენის სისტემები, საავიაციო შეიარაღება ჩანაცვლდეს საავიაციო ინჟინერიის დარგობრივი სასწავლო კურსებით.
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საავიაციო ძრავები“ ძირითად ლიტერატურად გამოყენებული იქნას თემატიკის შესაბამისი რელევანტური ლიტერატურა ნაცვლად „საავტომობილო შიგაწვის ძრავების მოწყობილობისა“.
13. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საფრენი აპარატების წარმოების ტექნოლოგია“ შესწავლა მოხდეს საავიაციო დარგის შესაბამისი ძირითადი ლიტერატურით ნაცვლად „მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიის საფუძვლებისა“.
14. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თვითმფრინავების მოწყობილობა“ თემატიკის მოცულობის გაზრდა სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატების მაგალითების განხილვისა და შესაბამისი ძირითადი ლიტერატურის საფუძველზე. ასევე, რეკომენდებულია გაიზარდოს სამოქალაქო თვითმფრინავების ფუნქციური სისტემების შესასწავლად გამოყოფილი დრო.
15. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „მასალათა გამძლეობა“ განხილულ იქნას ფირფიტებისა და გარსების პრაქტიკული მაგალითები.
16. რეკომენდებულია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით დამატებით დაიდოს ხელშეკრულებები/ემმორანდუმები საქართველოს წამყვან დარგობრივ კომპანიებთან, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
17. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკა და საიმედოობა“ სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებული იყოს ლაბორატორიული მუშაობა, ხოლო სასწავლო კურსის „აეროდინამიკა“ შესწავლისას გამოყენებულ იქნას ლაბორატორიული მუშაობა ან/და CFD პროგრამები.
18. ყველა სასწავლო კურსში/კომპონენტში, სადაც დაგეგმილია პრაქტიკული უნარების მიღწევა, აუცილებელია ისეთი შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უნარების ობიექტურ შეფასებას.
19. აუცილებელია დაინერგოს დაწესებულებაში მოქმედი წესების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების ქმედითი მექანიზმები (საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები ან/და ელექტრონული კომუნიკაცია და სხვა).
20. რეკომენდებულია საავიაციო ინჟინერიის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი უზრუნველყოფა.
21. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ საავიაციო საწარმოებში დასაქმებული დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები.
22. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს საავიაციო ინჟინერიის სწავლებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ისეთ ლაბორატორიებს, როგორცაა: აეროდინამიკის, ავიონიკის, ფუნქციური სისტემების, საპილოტაჟე-სანავიგაციო მოწყობილობების, საავიაციო ძრავების და საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობების ლაბორატორიები (აღჭურვილი საავიაციო სტანდარტების შესაბამისი ელექტრული კვების წყაროებით).
23. რეკომენდებულია უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკურ რესურს დაემატოს ურდვევი კონტროლის მაგნიტური და რენტგენო კონტროლის მეთოდების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები.
24. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტზე ისეთი აღჭურვილობის მობილიზება, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
25. რეკომენდებულია ურთიერთშეცვლადობისა და ტექნიკური გაზომვების ლაბორატორიაში გამოყენებული სადემონსტრაციო მასალა იყოს სწავლების ენაზე.

26. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა ეფუძნებოდეს დარგის უახლეს საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევებს.
27. დეტალურად გაიწეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურტექნიკური რესურსების განვითარებისათვის ხარჯები.
28. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ახალი ლაბორატორიების შესყიდვა/მოწყობისთვის გათვალისწინებული თანხა.
29. რეკომენდებულია დამატებით იქნას მოძიებული პროგრამის მატერიალური რესურსის განვითარებისათვის საჭირო წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი.
30. პროგრამის შეფასებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ყველა იმ მექანიზმის გამოყენება, რომლებსაც უნივერსიტეტი თავად ადგენს და პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა (მათ შორის, მთლიანად პროგრამის და მისი თითოეული კომპონენტის დონეზე შედეგების მიღწევის შესაძლებლობის დადასტურებისათვის სამიზნე ნიშნულების, სწავლის შედეგების, შეფასების მეთოდების, რესურსებით უზრუნველყოფისა და სხვ. ასპექტების ურთიერთკავშირის გათვალისწინება, შეფასების კომპლექსურობა, და სხვ.).
31. უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის დადარება უნდა იქნეს გაანალიზებული, მისი მემშობით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ გაიზარა დაწესებულებამ (პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და/ან სხვ.) თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად პასუხობს პროგრამის დასახელებასა და შინაარსს. მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული საქართველოში ამ მიმართულებით არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის შექმნის ინიციატორი იყო საქართველოში წამყვანი საავიაციო საწარმო „თამ მენეჯმენტი“, რომლის მიზანი საქართველოს შრომის ბაზარზე „საავიაციო ინჟინერიის“ სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრა გახლდათ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები გაიწერა შრომის ბაზრისა და დარგის საჭიროებებიდან გამომდინარე. „საავიაციო ინჟინერიის“ სპეციალისტებზე მოთხოვნა ასახულია გამომხმარებებსა და მემორანდუმებში. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას მკაცრად იქნა დაცული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები: „ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში“.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, თვითშეფასების ჯგუფმა იხელმძღვანელა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის დაკმაყოფილებაზე - „ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს ბაზრის მდგომარეობა, გაკეთდა ანალიზი, რაც მაქსიმალურად გავითვალისწინეთ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყნისთვის სტრატეგიული სფეროს „სამხედრო საავიაციო 2 მრეწველობის“ და „სამხედრო ავიაციის“ საჭიროებების, ბოლო პერიოდში სწრაფი განვითარების ტენდენციების გათვალისწინება. პროგრამის შემუშავების, მათ შორის მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრისას აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო მასშტაბის მქონე და საქართველოს

ბაზრის ძირითადი აქტორის - საავიაციო საწარმო „თამ მენეჯმენტის“ ხელმძღვანელობა და დარგის წამყვანი სპეციალისტები.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პროგრამის მიზანი, ერთმანეთთან მჭიდრო და ლოგიკურ კავშირში მყოფი დებულებებით არის წარმოდგენილი. თუმცა, მიზნის მესამე დებულება კონტექსტიდან ამოვარდნილ ფორმაში იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რაც, უნივერსიტეტის მოსაზრებით, გაუმართლებელია და გამოიწვია ხელოვნური, არარელევანტური, ტექნიკური ხასიათის და გემოვნებითი მითითება. მიზნის პირველ და მეორე დებულებებში ნათლადაა ასახული, თუ რა პროცესებზეა საუბარი: 1. მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისად თეორიული ცოდნით აღჭურვილი საავიაციო ინჟინერიის სპეციალისტი საფრენი აპარატების დაპროექტების, კონსტრუირების, წარმოების და დარგის განვითარების პროცესში მონაწილეობისათვის; 2. ჩამოუყალიბოს საფრენი აპარატების ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობების და მანქანა-დანადგარების, ხარვეზების დიაგნოსტიკის და რემონტის ამოცანებისა და პრობლემების გადასაჭრელად პრაქტიკული უნარები დადგენილი მითითებების შესაბამისად; 3 განუვითაროს პროცესებში მონაწილეობის უნარი შრომის დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების დაცვით“. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უნივერსიტეტისთვის მიუღებელია ამგვარი რეკომენდაცია.

აღსანიშნავია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება განხორციელდა საქართველოში ყველა ძირითადი საავიაციო საწარმოების (თამ მენეჯმენტი, თბილავიამშენი, Aero Structure Technologies Cyclone) წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგად გამოთქმული წინადადებების, წერილობითი გამოხმაურებებისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ შემუშავებული შრომის ბაზრის და საერთაშორისო კვლევებზე (Competitiveness of the EU Aerospace Industry with focus on: Aeronautics Industry და სხვა) დაყრდნობით. პროგრამის საჭიროება განისაზღვრა საქართველოს შრომის ბაზარზე საავიაციო სამრეწველო საწარმოების (Aero-Structure Technologies Cyclone, თამ მენეჯმენტი, თბილავიამშენი და სხვა) გახსნასთან და სამხედრო ავიაციის საფრენი აპარატების განახლება/მოდერნიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი სპეციალისტების მოთხოვნით. პროგრამის შექმნის ინიციატორი იყო საერთაშორისო მასშტაბის მქონე და საქართველოს ბაზრის ძირითადი აქტორი - საავიაციო საწარმო „თამ მენეჯმენტი“, რაც განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზარზე „სავიაციო ინჟინერიის“ სპეციალისტების ნაკლებობით. პროგრამა შემუშავებულია ევროპული და აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებზე დაყრდნობით და პროგრამის სწავლის შედეგებში მაქსიმალურადაა აქცენტირებული საწარმოო პროცესების თემატიკები, რაც პირველ რიგში საქართველოს შრომის ბაზრის სპეციფიკითა და მოთხოვნებით არის განპირობებული.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სრულად დასტურდება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგით, რაც ასახულია პროგრამის #1 დანართში (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა). პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობისათვის საჭირო დოკუმენტები შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

მე-6 რეკომენდაციასთან მიმართებაში უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა (კურიკულუმი) აგებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებით (სავალდებულო და არჩევითი) და თავისუფალი კომპონენტებით. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, საიდანაც 225 კრედიტი დათმობილი აქვს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს, ხოლო 15 კრედიტი - თავისუფალ კომპონენტს. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები თავისი შინაარსით ავითარებენ სპეციალობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და გადიან პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე. რაც შეეხება პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს, მათი საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვა სრულად პასუხობს კანონქვემდებარე აქტის დანაწესს.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელება სრულად შეესაბამება მის შინაარსს. თვითშეფასების ჯგუფის მიერ ორი წლის განმავლობაში დეტალურად იქნა დამუშავებული და შესწავლილი 50-ზე მეტი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები, გამოკვეთილი იქნა პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის პრიორიტეტული სასწავლო კურსები და გაკეთდა ე.წ. „გასაშუალებული მსოფლიო სტანდარტის“ პროგრამის პროექტი, რაც ცალსახად იძლევა პროგრამის და მისი შინაარსის შესაბამისობის გარანტირებულ შედეგს. პროგრამის დასახელება „საავიაციო ინჟინერია - Aeronautical Engineering“ არის აშშ-ში, ევროპაში და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნაში (გარდა რუსეთის და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნისა) მიღებული სტანდარტული დასახელება. დასახელება „საავიაციო ინჟინერია“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/5 ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში (დანართი 2) შეტანილ იქნა სწორედაც, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინიცირებით ევროპაში აღიარებული განათლების სფეროების კლასიფიკატორის (International standard classification of education fields of education and training 2013 (isced-f 2013) – detailed field descriptions) მიხედვით. მსოფლიოში მიღებული სტანდარტია პროგრამის დასახელების განსაზღვრა კვალიფიკაციიდან გამომდინარე (Aeronautical Engineering – Bachelor of Aeronautical Engineering).

მე-8 რეკომენდაციასთან მიმართებაში უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსი სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. საბაკალავრო პროგრამა - „საავიაციო ინჟინერია“ წარმოადგენს კლასიკური საბაკალავრო საინჟინრო სტატუსის პროგრამას და არა ექსპლუატაციის შინაარსის პროფესიულ პროგრამას (როგორცაა მაგ. საფრენი აპარატების ტექნიკური მომსახურება, საფრენი აპარატების პილოტირება, საზღვაო ნავიგაცია, ავტომობილების შეკეთება და სხვა), სადაც შესაძლებელია იყოს სავალდებულო დარგობრივი მახასიათებლების ან/და ადგილობრივი/საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანიზაციების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ასეთის არსებობის და ქვეყნის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების შემთხვევაში. პროგრამაში ასახული მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მის შინაარსს. თვითშეფასების ჯგუფის მიერ ორი წლის განმავლობაში დეტალურად იქნა დამუშავებული და შესწავლილი მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები, გამოკვეთილი იქნა პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის პრიორიტეტული სასწავლო კურსები და გაკეთდა ე.წ. „გასაშუალებული მსოფლიო სტანდარტის“ პროგრამის პროექტი, რაც ცალსახად იძლევა პროგრამის და მისი შინაარსის შესაბამისობის გარანტირებულ შედეგს.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, რეკომენდაციასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ Computational Fluid Dynamics (გაანგარიშებითი ჰიდროდინამიკა) წარმოადგენს ჰიდრომექანიკის საკმაოდ ვიწრო მიმართულებას/თემას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებში, ისიც არჩევითი სტატუსით. დაწესებულების მიერ დამუშავებული ანალოგიური დასავლური პროგრამების გადამოწმებისას ასეთი სასწავლო კურსის პროცენტული მაჩვენებელი აღმოჩნდა 0%. „ეროვნული და საერთაშორისო საავიაციო კანონმდებლობისა და სტანდარტების“ და „ადამიანის ფაქტორი ავიაციაში“ შინაარსის სასწავლო კურსები პრიორიტეტულია სამოქალაქო ავიაციის სფეროსთვის გამიზნულ სასერთიფიკატო და ოპერირების/ექსპლუატაციის პროგრამებისათვის (საჰაერო ხომალდების პილოტირება, ავიატექნიკოსი, ავიამეთვალყურე, ავიაციის მენეჯმენტი და სხვა). ანალოგიური დასავლური პროგრამების გადამოწმებით „ეროვნული და საერთაშორისო საავიაციო კანონმდებლობისა და სტანდარტების“ სასწავლო კურსის პროცენტული მაჩვენებელი აღმოჩნდა 0%, ზოგადი სამართლის სასწავლო კურსის პროცენტული მაჩვენებელი - 8%, ხოლო „ადამიანის ფაქტორი ავიაციაში“ სასწავლო კურსის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა - 6%. რაც ამ საკითხის „რეკომენდაციის“ დონეზეც განხილვას გამოიცხავს. დარგობრივი ინგლისური ენა პრიორიტეტულია სამოქალაქო ავიაციის სფეროსთვის გამიზნულ სასერთიფიკატო და

ოპერირების/ექსპლუატაციის შინაარსის პროგრამებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოური ენის სწავლებას ეთმობა 20 კრედიტი, რაც სწორედაც რომ კურსდამთავრებულისთვის უცხო ენაზე ლიტერატურის დამუშავებისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებაზეა გამიზნული. დასავლური საბაკალავრო პროგრამებში უცხო ენის სწავლება ეფუძნება თავად უცხო ენაზე ფუნდამენტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის და მისი შემდგომი განვითარების უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რჩევის ხასიათი.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „თვითმფრინავების დაპროექტება“, სადაც მოცემულია დაპროექტების ყველა ის საკითხები, რომლებიც საჭიროა „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. „საავიაციო ინჟინერიის“ პროგრამის კურსდამთავრებულს მოეთხოვება საფრენი აპარატის კონსტრუქციის დაპროექტების და შეთანწყობის ცოდნა. ხოლო რაც შეეხება საფრენი აპარატის სისტემების და მაკომპლექტებელი ნაწილების დაპროექტება ევალუბათ სხვა დარგის კერძოდ, „მექანიკის ინჟინერიის“, „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“, „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ და სხვა სპეციალისტებს.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, აღნიშნა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, რომ სასწავლო კურსები „სარაკეტო ტექნიკის საფუძვლები“, „საფრენი აპარატის ავარიული გადარჩენის სისტემები“ და „საავიაციო შეიარაღება“ წარმოადგენენ საავიაციო ინჟინერიის სფეროს სამხედრო მიმართულების მნიშვნელოვან კომპონენტებს. მათ გააჩნიათ არჩევითი სტატუსი და ემსახურებიან საავიაციო ინჟინერიის ამ სფეროში სამხედრო საავიაციო ტექნიკის მიმართულებით დამატებითი ცოდნის მიღებას. აღნიშნული სასწავლო კურსების პროგრამაში ასახვა განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნებით, რადგან ქართულ საწარმოებში ძირითადად სამხედრო საფრენი აპარატების წარმოების, რემონტის და პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს. სამხედრო თემატიკის სასწავლო კურსები განსაზღვრავენ პროგრამის განსაკუთრებულობას, არის პროგრამის ძლიერი მხარე და ემსახურება საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის საავიაციო კადრების ხარისხის ამაღლებას და სამხედრო ავიაციის განვითარების ხელშეწყობას.

მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სასწავლო კურსის „საავიაციო ძრავების“ სილაბუსში მითითებულია ორი სავალდებულო ლიტერატურა, რომელთა საშუალებით აგებულია სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი). სილაბუსის შინაარსს ძირითადად ფარავს „საავიაციო აირტურბინული ძრავების თეორია“, ხოლო მეორე სახელმძღვანელო „საავტომობილო შიგაწვის ძრავების მოწყობილობა“ გათვალისწინებულია დღეშიანი ძრავების საკითხების შესახებ უფრო მეტი, საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად. განვმარტვით, რომ დღეშიანი ძრავას ზოგადი პრინციპები და მასში მიმდინარე პროცესები საერთოა და უნივერსალურია ნებისმიერი დღეშიანი ძრავასათვის. შესაბამისად სახელმძღვანელოში „საავტომობილო შიგაწვის ძრავების მოწყობილობა“ მითითებული თემატიკები ზუსტად პასუხობენ სილაბუსის საკითხებს, ხოლო აღნიშნული ლიტერატურა სრულად შეესაბამება ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნებს.

მე-13 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგია არის მეცნიერება მოთხოვნილი მახასიათებლების ნაკეთობის, მათ შორის საფრენი აპარატების, დამზადების შესახებ, განსაზღვრული საწარმოო პროგრამით და დადგენილ ვადებში, უმცირესი შრომითი დანახარჯებით. საფრენი აპარატების წარმოების ტექნოლოგია მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სასწავლო კურსის „საფრენი აპარატების წარმოების ტექნოლოგია“ სილაბუსში მოცემულია საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი პრინციპების შესწავლისათვის აუცილებელი ისეთი საკითხები როგორებიცაა: ნაკეთობის, როგორც საწარმოო ობიექტის დახასიათება, მისი სტრუქტურული აგებულება დამზადების ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით, დამუშავების სიზუსტე, ზომათა ჯაჭვები, ბაზები და ბაზირების საფუძვლები, პლასტიკური

დეფორმაციები, ლითონის ზედაპირული ფენის განმტკიცება, რთული ფორმის ზედაპირების დეტალების დამუშავება, ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების საფუძვლები და სხვა. აღნიშნული საკითხები სრულად არის გადმოცემული წარმოდგენილ ძირითად ლიტერატურაში „მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიის საფუძვლები“ და შეესაბამება სილაბუსის შინაარსს. გარდა ამისა, საფრენი აპარატების წარმოების ტექნოლოგიის“ სასწავლო კურსში მოცემულია საავიაციო ინჟინერიის ტექნოლოგიის საფუძვლები, სადაც განიხილება ნაკეთობის დამზადების პროცესები. ხოლო საავიაციო ინჟინერიის ტექნოლოგიის ის საკითხები, რომლებიც ასახავს უშუალოდ საფრენი აპარატების აწყობის და მონტაჟის პროცედურებს მოცემულია შემდგომ სასწავლო კურსში „თვითმფრინავების აწყობისა და მონტაჟის ტექნოლოგია“.

მე-14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ „სავიაციო ინჟინერიის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სასწავლო კურსის „თვითმფრინავების მოწყობილობები“ შინაარსი ოპტიმალური მოცულობით არის წარმოდგენილი. თვითშეფასების ჯგუფის მიერ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმების დამუშავების შედეგად მიღებული სასწავლო კურსის „თვითმფრინავების მოწყობილობა“ პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც შეადგენს მხოლოდ 21%-ს, რითაც დასტურდება, რომ პროგრამაში 5 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებული სასწავლო კურსის „თვითმფრინავების მოწყობილობა“ სრულიად საკმარისია. კურსი ითვალისწინებს თვითმფრინავების მოწყობილობების (სავიაციო ხელსაწყოები, რადიომოწყობილობა, სანავიგაციო სისტემა, ელექტრული კვების წყარო და სხვა) პრინციპების და აგებულების განხილვას. სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატების მაგალითების განხილვის მოთხოვნა აღნიშნულ კურსში არარელევანტურია. რეკომენდაციით გამოხატული მიდგომა გამართლებული იქნებოდა ექსპლუატაციის/სასერტიფიკატო/პროფესიული მიმართულების პროგრამებისათვის. თვითმფრინავების სისტემების თემატიკის საკითხები საკმაოდ ამომწურავად ისწავლება შემდეგ სასწავლო კურსებში: „თვითმფრინავების კონსტრუქცია 1“, „თვითმფრინავების მოწყობილობა“, „შვეულმფრენები“ და არ საჭიროებს კიდევ უფრო მეტად გაშლას. „თვითმფრინავების ფუნქციური სისტემების“ დასახელების სასწავლო კურსი/თემატიკა არის მოძველებული დასახელება. თვითშეფასების ჯგუფის მიერ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმების დამუშავების შედეგად მიღებული სასწავლო კურსის „თვითმფრინავების ფუნქციური სისტემების“ პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 0%-ს, რაც გამორიცხავს ამ საკითხის „რჩევის“ დონეზე განხილვასაც კი.

მე-15 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ „მასალათა გამძლეობის“ სასწავლო კურსის შინაარსი არის მაქსიმალურად სტანდარტიზირებული და უნივერსალური საინჟინრო პროგრამებისათვის. იგი ძირითადად ითვალისწინებს ღეროების და ძელების დრეკადობის მახასიათებლების შესწავლას. სასწავლო კურსის სილაბუსში „ძვრის“ თემატიკაში განიხილება „თხელკედლიანი ჭურჭლის გაანგარიშების“ საკითხებიც. ფირფიტებისა და გარსების კიდევ უფრო სიღრმისეული შესწავლა სცილდება „მასალათა გამძლეობის“ კურსის მიზანს. ასეთი თემატიკები როგორც წესი ისწავლება „კონსტრუქციების მექანიკის-Structure mechanics“, „კონსტრუქციების ანალიზის - Structural analysis“, თვითმფრინავის სიმტკიცეზე გაანგარიშების სასწავლო კურსებში, უმაღლესი განათლების მეორე ან მესამე საფეხურზე.

მან დასძინა, რომ მნიშვნელოვანია ასევე მე-16 რეკომენდაცია, კერძოდ, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. ამისათვის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება კომპანია „თამ მენეჯმენტთან“, რომელიც არის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო რეგიონში. საწარმო უზრუნველყოფს საფრენი აპარატების დეტალების დამზადებისა და აწყობის ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებას საჭირო თანამედროვე აღჭურვილობით, მანქანა-დანადგარებით და იარაღებით. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა, ისე როგორც ამას მოითხოვს სტანდარტი. ამასთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიისა და

ტექნოლოგიების დეპარტამენტს, სადაც დაგეგმილია მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, აქვს დეტალების დამზადების და სხვა ტექნოლოგიური პროცესების (მათ შორის კომპიუტერი მასალებისაგან ნაკეთობის შექმნის პროცესების) უზრუნველყოფისათვის საჭირო ბაზა, რაც უზრუნველყოფს „პრაქტიკა საავიაციო ინჟინერიაში“ სილაბუსით განსაზღვრულ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სასწავლო კურსში „საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკა და საიმედოობა“ გათვალისწინებულია პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც სტუდენტები დიაგნოსტიკური მოწყობილობების პრაქტიკული გამოყენებით, მითითებების შესაბამისად გადაწყვეტენ კონკრეტულ ამოცანებს. პრაქტიკული დავალებებისა და ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს თეორიული მასალის დამუშავებას, პრაქტიკულ გაზომვებს და ანალიზს. პრაქტიკული მეცადინეობა თავისი შინაარსით შეიძლება იყოს როგორც ამოცანების ამოხსნის/გადაწყვეტის ისე პრაქტიკულად მოწყობილობებით გაზომვების ჩატარების ფორმით. „საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკა და საიმედოობა“ სასწავლო კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭიროებს ორივე ფორმას (ამოცანების გადაწყვეტა, პრაქტიკულად მოწყობილობებით გაზომვების ჩატარება, ანალიზი). ასეთი დავალებების შესრულებისათვის რელევანტური სწორედაც რომ პრაქტიკული მეთოდის გამოყენებაა. აღნიშნული მიდგომით სრულად მიიღწევა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები. აეროდინამიკის სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს დემონსტრირებით სწავლის მეთოდს, რაც რათქმა უნდა სწორედაც რომ სხვადასხვა კომპიუტერული (Computational Fluid Dynamics Simulation), ვიდეო და სხვა ვიზუალური შესაძლებლობების გამოყენებას ითვალისწინებს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული გივი ბოკუჩავას სახელობის კომპიუტერული ცენტრი და აეროდინამიკის ლაბორატორია იძლევა ამის შესაძლებლობას. გარდა ამისა პროგრამაში გათვალისწინებულია, რომ დასავლური ქვეყნების უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამებში აეროდინამიკის ძირითადი ფუნდამენტური პრინციპების ლაბორატორიული მეთოდით შესწავლა პრიორიტეტულად ხდება ჰიდროაერომექანიკის (Fluide mechanics) სასწავლო კურსში. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა ჰიდრაულიკის სასწავლო კურსი, ისეთი ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობით როგორცაა: ბერნულის განტოლების ილუსტრაცია, ადგილობრივი სიჩქარეების გაზომვა პიტოს მილით, რეინოლდსის რიცხვის განსაზღვრა, წინაღობის კოეფიციენტის განსაზღვრა და სხვა. რაც შეეხება აეროდინამიკის კურსს, იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს საფრენი აპარატის აეროდინამიკის კურსს და გამიზნულია აეროდინამიკური დაპროექტების უნარჩვევების გამომუშავებისათვის წინაპირობის შექმნას.

მე-18 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსში „საავიაციო ტექნიკის საიმედოობა და დიაგნოსტიკა“ ლაბორატორიული სამუშაოების გამოყენებას. აღნიშნული რეკომენდაცია, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სხვა ფორმით მეორდება მრავალჯერადად. სასწავლო კურსში „საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკა და საიმედოობა“ გათვალისწინებულია პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც სტუდენტები დიაგნოსტიკური მოწყობილობების პრაქტიკული გამოყენებით მითითებების შესაბამისად გადაწყვეტენ კონკრეტულ ამოცანებს. პრაქტიკული დავალებებისა და ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს თეორიული მასალის დამუშავებას, პრაქტიკულ გაზომვებს და ანალიზს. პრაქტიკული მეცადინეობა თავისი შინაარსით შეიძლება იყოს როგორც ამოცანების ამოხსნის/გადაწყვეტის ისე პრაქტიკულად მოწყობილობებით გაზომვების ჩატარების ფორმით. „საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკა და საიმედოობა“ სასწავლო კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებისათვის და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭიროებს ორივე ფორმას. ასეთი დავალებების შესრულებისათვის რელევანტური სწორედაც რომ პრაქტიკული მეთოდის გამოყენება. აღნიშნული მიდგომით სრულად მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები. ზემოაღნიშნული

ფორმულირება შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ რჩევის სახით. სასწავლო კურსის „პრაქტიკა საავიაციო ინჟინერიაში“ შეფასების სისტემა სრულად უზრუნველყოფს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანს და სწავლის შედეგებს. პროცესი რეგულირდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესით სტუდენტი ფასდება პრაქტიკის პერიოდში ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობის შედეგად მიღებული შედეგებით. შეფასების ფორმა სრულად პასუხობს სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკებს. წამყვანი დასავლური უნივერსიტეტების სტანდარტების თანახმად საბაკალვრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა ყველანაირ საწარმოო სამუშაოებში, მაგრამ დაუშვებელი მისი შეფასება ისეთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე, რომელიც უშულოდ დანადგარებთან მუშაობისას ვითარდება. ეს მხოლოდ პროფესიულ, საექსპლუატაციო და სასერტიფიკატო/სალიცენზიო პროგრამების შემთხვევაში შეიძლება და ეწინააღმდეგება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მენ დონის მოთხოვნებს.

მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა ინფორმირება სხვასხვა სიახლეების შესახებ ხდება, ელექტრონული პროგრამების საშუალებით, აპლიკაციების გამოყენებით, ოფიციალური ვებგვერდით, სხვადასხვა ოფიციალური სოციალური ქსელით, უშულო საინფორმაციო შეხვედრებით, საინფორმაციო დაფაზე მასალების გამოკვრით, ელექტრონული კომუნიკაციის, მობილური სატელეფონო და სხვა საშუალებებით. პრაქტიკულად, თანამედროვე გლობალურ გარემოში მიღებული კომუნიკაციის ყველა თანამედროვე მეთოდი და ტექნოლოგია ათვისებულია და გაუგებარია, რამ გამოიწვია ასეთი რეკომენდაციის შემუშავება. უნივერსიტეტში მოქმედებს მულტიფუნქციური, სასწავლო პროცესის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა - vici.gtu.ge სახელწოდებით.

მნიშვნელოვანია ასევე მე-20 რეკომენდაცია, კერძოდ, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა. განსაკუთრებით ეს ეხება დარგის სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს.

21-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს აეროდინამიკის ლაბორატორია. ავიონიკის (Avionics) სასწავლო კურსი საერთო არ ისწავლება პროგრამაში, ვინაიდან ჩვენს მიერ დამუშავებული ანალოგიური დასავლური პროგრამების გადამოწმების შედეგად ასეთი სასწავლო კურსის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 19%. განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCED-F 2013) ავიონიკა წარმოდგენილია ცალკე სპეციალობით დეტალურ სფეროში (0716). შესაბამისად არარელევანტურია ასეთი ლაბორატორიის შექმნა. ეს სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია „საფრენი აპარატის ექსპლუატაციის“ მიმართულების სპეციალისტების მომზადებისათვის. თანაც ავიონიკის თანამედროვე სასწავლო მოწყობილობები არის წარმოდგენილი პარტნიორი ორგანიზაციის „თამ მენეჯმენტის“ ბაზაზე.

მან დასძინა, რომ აღსანიშნავია ასევე 22-ე რეკომენდაცია, კერძოდ. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს საავიაციო ინჟინერიის სწავლებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ისეთ ლაბორატორიებს, როგორცაა: აეროდინამიკის, ავიონიკის, ფუნქციური სისტემების, საპილოტაჟე-სანავიგაციო მოწყობილობების, საავიაციო ძრავების და საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობების ლაბორატორიები. ფუნქციური სისტემების ლაბორატორიის მოთხოვნა ასევე არარელევანტურია, რადგან არ ისწავლება ასეთი სასწავლო კურსი და არ საჭიროებს შესაბამისი ლაბორატორიული ბაზის რსებობას. ანალოგიური დასავლური პროგრამების გადამოწმების შედეგად ასეთი სასწავლო კურსის პროცენტული მაჩვენებელმა მაჩვენებელმა შეადგინა 3,2 %. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია „საფრენი აპარატების კონსტრუქციების ლაბორატორია“. საფრენი აპარატის სისტემების უახლესი სტენდები და მოწყობილობები არის წარმოდგენილი პარტნიორი ორგანიზაციის „თამ მენეჯმენტის“ ბაზაზეც. თავად ტერმინი და მეთოდოლოგიური მიდგომა „ფუნქციური სისტემების“ არის მოძველებული საბჭოთა მემკვიდრეობა. ასეთი დასახელების

არა თუ ლაბორატორია, არამედ სასწავლო კურსიც კი რთულად მოიპოვება დასავლურ საავიაციო პროგრამებში. საპილოტაჟე-სანავიგაციო მოწყობილობების ლაბორატორიის მოთხოვნა ასევე არარელევანტურია, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი სასწავლო კურსი არ ისწავლება „საავიაციო ინჟინერიის პროგრამაში“. ანალოგიური დასავლური პროგრამების გადამოწმების შედეგად ასეთი სასწავლო კურსის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 2%. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია ძრავების ლაბორატორია. საავიაციო ძრავას სასწავლო მოდელი არის წარმოდგენილი პარტნიორი ორგანიზაციის „თამ მენეჯმენტის“ ბაზაზე. ამასთან, „საავიაციო ძრავას“ სწავლება საავიაციო ინჟინერიის პროგრამაში არის ზოგადი მხარდამჭერი სახის. არ საჭიროებს სიღრმისეულ დონეზე შესწავლას. ძრავას (მათ შორის საავიაციო რეაქტიული ძრავის) დაპროექტება არის მექანიკის ინჟინერიის (ძრავთმშენებლობა) მიმართულება და ასევე პრიორიტეტულია საფრენი აპარატების ექსპლუატაციის მიმართულების სპეციალისტების მომზადებისათვის. საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობების ლაბორატორიის მოთხოვნაც ასევე არარელევანტურია, რადგან ასეთი სასწავლო კურსი არ ისწავლება პროგრამაში. ანალოგიური დასავლური პროგრამების გადამოწმების შედეგად ამ ლაბორატორიის შესაბამისი სასწავლო კურსის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,9 %.

23-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ურღვევი კონტროლის ლაბორატორიული მოწყობილობები. მაგნიტური და რენტგენო კონტროლის მეთოდების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობებით გაძლიერების მოთხოვნა ცალსახად რჩევის ხასიათს ატარებს და ვერ იქნება რეკომენდაცია, რადგან იგი არ ახდენს გავლენას სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგებზე.

24-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სტუდენტთა პრაქტიკის გავლისათვის გათვალისწინებული „თამ მენეჯმენტის“ ბაზა წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. „თამ მენეჯმენტის“ საწარმო არის აღჭურვილი უახლესი ტექნოლოგიებით. საწარმო უზრუნველყოფს საფრენი აპარატების დამზადებისა და აწყობის ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე აღჭურვილობით, მანქანა-დანადგარებით და იარაღებით. ყოველივე ეს იძლევა პრაქტიკის კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით და სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს სადაც დაგეგმილია პროგრამის განხორციელება, აქვს ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფისათვის საჭირო დანადგარებისგან, ჩარხებისაგან და იარაღებისაგან შემდგარი საწარმოო ბაზა, რაც ასევე იძლევა საავიაციო ინჟინერიაში პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას.

25-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სადემონსტრაციო მასალებს ანუ „პლაკატებს“, რომლებიც არის განთავსებული ურთიერთშეცვლადობისა და ტექნიკური გაზომვების ლაბორატორიაში, აქვს ზოგადი ინფორმირების დატვირთვა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამები სხვადასხვა ენებზე (ქართული, ინგლისური, გერმანული, რუსული). შესაბამისად სადემონსტრაციო მასალები არის წარმოდგენილი ყველა სწავლების ენაზე.

26-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სასწავლო კურსებში გამოყენებულია ავიაციის უახლეს ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი მაქსიმალურად ახალი 17 ლიტერატურა და წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული წყაროები.

27-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ახალი

ლაბორატორიების, კომპიუტერული კლასების მოწყობის, ინფრასტრუქტურის განახლება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სხვა ხარჯები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების 4.4 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

28-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ახალი ლაბორატორიების, კომპიუტერული კლასების შესყიდვის, ინფრასტრუქტურის განახლება და სხვა ხარჯები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განახლებული ლაბორატორიები და „თამ მენეჯმენტის“ თანამედროვე საწარმოო/სასწავლო ბაზა წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს და იძლევა პროგრამის სრულად და ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად ლაბორატორიების განახლებისათვის, ისიც გრძელვადიან პერიოდში საჭირო იქნება მცირე ხარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ „თამ მენეჯმენტმა“ „საფრენი აპარატებისა და სისტემების“ ლაბორატორიის მოწყობაში უსასყიდლოდ გადასცა ლაბორატორიისათვის საჭირო თვითმფრინავის კონსტრუქციები. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და „თამ მენეჯმენტს“ შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე „თამ მენეჯმენტი“ მომავალშიც უზრუნველყოფს დამატებით მატერიალურ მხარდაჭერას ლაბორატორიების გაძლიერების მხრივ.

29-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო ბაზა და „თამ მენეჯმენტის“ განხორციელებული და დაგეგმილი მატერიალური მხარდაჭერა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დამატებითი ხარჯების მოძიება ცხადია კიდევ უფრო წაადგება პროგრამას. ზემოაღნიშნული ფორმულირება შესაძლებელია ატარებდეს რჩევით დატვირთვას.

30-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სრულად იყენებს პროგრამის შეფასებისა და განვითარებისათვის აუცილებელ ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დაწესებულება უნივერსიტეტში. მოცემულ შემთხვევაში, საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების მდგომარეობა, სრულყოფილად არის განხორციელებული ახალი პროგრამის სტატუსის პირობებში.

31-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა მოიძია, დაამუშავა და გაანალიზა უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია ანალოგიური შინაარსის რეკომენდაციების პასუხად. აღნიშნული პროცედურები და შედეგები ასახულია საინიციატივო ჯგუფის შეხვედრების ოქმებში, შედარების ანალიზის დოკუმენტში და დასტურებულ იქნა ინტერვიუს დროს. შესაბამისად, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს რეკომენდაცია მიაჩნია არარელევანტურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა, თუ რამდენ საავიაციო უნივერსიტეტთან თანამშრომლობს დაწესებულება, რომელთა გამოცდილებაც შემდგომ გამოყენებული იქნა პროგრამის ჩამოყალიბებისა და განვითარებისას. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული დასაქმდება აეროპორტებსა და ავიაკომპანიებში, შესაბამისად მოცემულია ჩამონათვალიც. ამასთან დაკავშირებითაც, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ ამ კუთხით რომელ საწარმოებთან აქვს ხელშეკრულებები დადებული და აეროპორტების რა კატეგორიაში მოხდება ამ მიმართულებით სპეციალისტების მომზადება.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობები არა არის მითითებული, შესაბამისად, როგორ არის შესაძლებელი ყოველივე ზემოაღნიშნულის გარეშე სწავლის შედეგების მიღწევა.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ისაუბრა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია

ფიქსირდებოდა თვითშეფასების ანგარიშში, შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ხომ არ არის პოზიციების რადიკალურობა გამოწვეული ხედვებს შორის განსხვავებით.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუსტა, შეძლებს თუ არა პროგრამა შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდგომ კვალიფიციური ავიაციის ინჟინერის მომზადებას. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა შესაძლებელია თუ არა პრაქტიკის ობიექტებზე ნორმალურად იქნას გავლილი და გადაჭრილი ის პრაქტიკული და ლაბორატორიული პრობლემები, რომლებიც არ იქნება საკმარისი, რომ ჩატარებული იქნას უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსებიდან არ იკვეთება ლაბორატორიული სამუშაოების სიჭარბე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა მასალა. ექსპერტებმა ასევე გამოითხოვეს უცხოური პროგრამების კვლევის დოკუმენტი, სადაც მოცემული იყო მხოლოდ რაოდენობრივი ანალიზი. შესაბამისად, ექსპერტებმა თავად მოახდინეს დადარება უცხოურ უნივერსიტეტების პროგრამებთან. აქედან გამომდინარე დადგინდა, რომ უცხოურ უნივერსიტეტებში ძირითადად უდიდესი წვლილი მოდის ლაბორატორიულ მუშაობებზე. რაც შეეხება თავად სწავლების ფორმატს, უცხოური პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობის სწავლება მიმდინარეობს შემდეგნაირად: კერძოდ, პირველ ეტაპზე ხდება საავიაციო ინჟინერიის მიმართულების ყველა სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიწოდება და საავიაციო ინჟინერიაში ზოგადი კომპეტენციის ჩამოყალიბება. ხოლო შემდგომ ხდება უკვე დაყოფა მიმართულებების მიხედვით და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი განხრა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა შეთავაზება არ გულისხმობდა კონკრეტული სასწავლო კურსის განსაზღვრას, მნიშვნელოვანია არსებობდეს კონკრეტული მიმართულებები და კონცენტრაციები. პროგრამაში საკმაოდ ბევრი სასწავლო კურსია წარმოდგენილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა უნდა იყო არჩევითი სახის, მიმართულებების მიხედვით.

რაც შეეხება ლაბორატორიულ რესურსს, ზოგადი საინჟინრო მიმართულებით უნივერსიტეტს ნამდვილად კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნია, თუმცა მატერიალურ რესურსში არ იკვეთება ის სპეციფიკა, რომელიც აუცილებელია საავიაციო მიმართულებით. აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც შედგება შემდეგისგან: სასწავლო ინვენტარი, სააქტო დარბაზები, არქივი, უნივერსიტეტის ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ცენტრები და კომპიუტერული კლასები და მათი პროგრამული უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში არ არის მოცემული, თუ რომელი მატერიალური რესურსი იქნება გამოყენებული მის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს ის, რაც დაწესებულების მხრიდან იყო უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძოდ: სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, პატრას უნივერსიტეტი, მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ნოტინგემის უნივერსიტეტი, ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი, აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ლონდონ სიტის უნივერსიტეტი, ბუქარესტის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი.

დაწესებულება მოცემულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს მემორანდუმის დონეზე, რაც ასევე ასახულია საიტზეც და სხვადასხვა დოკუმენტებში.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ რომელ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს საავიაციო მიმართულებით პროგრამა, რადგან დაწესებულების მიერ ჩამოთვლილი უნივერსიტეტებიდან ყველას არ აქვს საავიაციო მიმართულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტები არ არის საავიაციო დაწესებულებები, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს საავიაციო ინჟინერიის მიმართულება.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ მხოლოდ თანამშრომლობა არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამა სწორად არის აწყობილი. აუცილებელია უცხოური პრაქტიკის გაცნობა, სტრუქტურის, სილაბუსების, კონცენტრაციებისა და მოდულების შესწავლა და მათი პროგრამაში გათვალისწინება. პროგრამის ფარგლებში არ ჩანს ჩართულობა, დამსაქმებლების გამოკითხვა, უცხოური პრაქტიკის შესწავლა, რაც აუცილებელი და სავალდებულოა პროგრამის სრულყოფილად ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დეტალიზებულად თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი, უბრალოდ ლაბორატორიების სახით არის მოხსენიებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი დაზუსტებული იქნა არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში. რაც შეეხება ექსპერტთა მიერ მათი გაცნობის საკითხს, საუბარი იყო იმდენად დიდ ბაზაზე, რომ შეუძლებელი იქნებოდა ერთ დღეში და განსაკუთრებით ექსპერტების მიერ განსაზღვრულ დროში მისი გაცნობისა და დათვალისწინების მოსწრება.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ თუ დამსაქმებლების მხრიდან არის პოზიტიური დამოკიდებულება, რატომ არ არის აღნიშნული მოცემული დოკუმენტურად, მაგალითად, ხელშეკრულებების სახით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ლაბორატორიები არც სილაბუსშია მითითებული და არც თვითშეფასების ანგარიშში, შესაბამისად ვერ მოვთხოთ ექსპერტებს ყველა ლაბორატორიის დეტალურად შემოწმებას. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დეტალურად ესაუბრათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამსაქმებლებთან ხელშეკრულებები არსებობს და ისინი უზრუნველყოფენ უშუალოდ საავიაციო მიმართულებით ლაბორატორიებთან წვდომას.

პროგრამის ხელმძღვანელმა დასაქმების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ კურიკულუმის მიხედვით პრიორიტეტი აქვს მინიჭებული დასაქმების იმ სფეროებს, რომლისთვისაც საავიაციო ინჟინერიის სპეციალისტები უნდა იყვნენ გამოშვებული. შესაბამისად, პირველ რიგში განსაზღვრულია ავიაციის საწარმოები, საკონსულტაციო ბიუროები, კვლევითი ინსტიტუტები, ხოლო აეროპორტები და ავიაკომპანიები პრიორიტეტულად ბოლო მიმართულებად არის მოცემული.

რაც შეეხება ლაბორატორიების საკითხებს, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული, როგორც „თამ მენეჯმენტთან“, ასევე „თბილ ავიამშენთან“, ამავდროულად „თამ მენეჯმენტთან“ დაწესებულებას აქვს გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულება, სადაც აღნიშნულია, რომ თამ მენეჯმენტის ბაზაზე დაწესებულება ატარებს მთელი რიგი საგნების ლაბორატორიულ სამუშაოებს. ხელშეკრულება ასევე მოიცავს საწარმო პრაქტიკის ჩატარებას. ხელშეკრულების შესაბამისად, „თამ მენეჯმენტი“ ვალდებულია ჩაატაროს პრაქტიკა მაღალ დონეზე ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სილაბუსის მიხედვით.

საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ საკითხი ლაბორატორიებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რამოდენიმე სილაბუსში საერთოდ არ იყოს ლაბორატორიული სამუშაოები მითითებული, მაშინ როცა შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ სილაბუსების ასათვისებლად სავალდებულო იყო ლაბორატორიული მუშაობები. მუხედავად

იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა აეროდინამიკის ლაბორატორია, რადგან სილაბუსებში აღნიშნული არ არის განსაზღვრული, არ დგინდება ამ კონკრეტული ლაბორატორიის პროგრამის ფარგლებში გამოყენების ფაქტი. მოცემული ლაბორატორიის შესახებ ექსპერტებმა გაიგეს მხოლოდ ვიზიტის დროს, ვინაიდან არცერთ წარდგენილ დოკუმენტში ლაბორატორიის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა. გარდა ამისა ნახსენები იყო სისტემების ლაბორატორია, თუმცა დაწესებულებაში მოცემული იყო მხოლოდ სტენდი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს ვიზუალიზაციისთვის. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამა ვერ მოახერხებს სწავლის შედეგებზე გასვლა, გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის შედეგებზე გასასვლელად აუცილებელია სრული საწარმოო ციკლის გავლა, ხოლო ციკლთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ჩავარდნები, რომლისკენაც იყო მიმართული ექსპერტთა რეკომენდაციები. რაც შეეხება სიმტკიცის ლაბორატორიას, აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს ლაბორატორიას. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ლაბორატორია არის სპეციფიკური ხასიათის, საჭიროა საგამოცდო პროგრამების შედგენა, რის შემდეგაც ხდება საგამოცდო მეთოდის შემუშავება. თუმცა, მსგავსი რამ, არც სილაბუსებში და არც თავად პროგრამაში წარმოდგენილი არ არის. ლაბორატორია არსებობს, მაგრამ დაწესებულებას ამ კუთხით არ ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტი, აღნიშნული ინფორმაცია კი არსად არ არის მოცემული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, თუ რა მოცულობით სასწავლო კურსებში არ არის მითითებული ლაბორატორიული მუშაობები, მაშინ როცა აღნიშნული არის სავალდებულო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საუბარია ოთხ სასწავლო კურსზე, სადაც საერთოდ არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები, მიუხედავად იმისა, რომ კურსები თავისი შინაარსიდან გამომდინარე ამ მეთოდების გამოყენებასა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას საჭიროებენ. ამასთან სასწავლო კურსები საავიოციო ინჟინერიის შესწავლის აუცილებელი კომპონენტებია. ისინი წარმოადგენენ საფუძვლებს და არა კონცენტრაციების მიხედვით განსაზღვრულ საგნებს.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო მოცემული არჩევითი სასწავლო კურსები და დააზუსტა, თუ როგორ ხდება აღნიშნულის სტუდენტებისთვის შეთავაზება, არის თუ არა დაყოფილი ბლოკებისა თუ მოდულების სახით.

ექსპერტმა განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფს განსაზღვრული ჰქონდა რეკომენდაციები. დაწესებულებას თავად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ შეასწავლის არჩევით სასწავლო კურსებს, თუმცა იმისათვის რომ სწავლის შედეგები და მიზნები იყოს მიღწეული, აუცილებელია გამოყენებული იქნას უცხოური უნივერსიტეტების პრაქტიკა. პროგრამა თავისი მიზნებითა და შედეგებით, იმგვარად როგორც არის წარმოდგენილი ვერ გადის საავიაციო ინჟინერიის ზოგად კვალიფიკაციაზე, გადის მხოლოდ მის ერთ-ერთ მიმართულებაზე.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია 45 სასწავლო კურსი, სადაც ასევე მოცემულია დარგობრივი სასწავლო კურსები, რომლებიც ეხება სხვადასხვა მიმართულებებს. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენი პრაქტიკოსი (პრაქტიკული გამოცდილების პირი) და კვალიფიკაციით საავიაციო ინჟინერი არის ჩართული პროგრამაში.

შპს „თამ მენეჯმენტის“ დირექტორმა, პანტიკო თორდიამ ისაუბრა ლაბორატორიებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თავისი მხრივ უზრუნველყოფს მიიღოს საწარმო პრაქტიკაზე გაგზავნილი სტუდენტები, დაუნიშნოს მათ მენტორი და უზრუნველყოს პრაქტიკის მაღალ დონეზე ჩატარება ფაკულტეტის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დავალების შესაბამისად. ამასთან პრაქტიკის დასრულების შემდგომ თამ მენეჯმენტი თოთოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნას (დახასიათებას).

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია მოცემული კვალიფიკაციის სტუდენტები მოამზადოს. მსგავს

პროგრამას დაწესებულება ადრეც ახორციელებდა და უშვებდა საკმაოდ კვალიფიციურ და ძლიერ პროფესიონალებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა დასავლური სტანდარტები, გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნა იყო შესაბამისი. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. კუსდამთავრებულს ექნება ფართო ცოდნა საფრენი აპარატების კონსტრუირების, პროექტირების, წარმოებისა და გამოცდის მიმართულებით. შეძენილი ცოდნისა და უნარების საფუძველზე შეეძლება თანამედროვე ტექნოლოგიების დინამიკურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება. საფრენი აპარატების კონსტრუირების, პროექტირების, წარმოებისა და გამოცდის სფეროში შეძენილი ფართო ცოდნის საფუძველზეკურსდამთავრებულს მიეცემა იმ პოზიციაზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; ბაკალავრების მომზადების წარმოდგემილი პროგრამა ითვალისწინებს საფრენი აპარატების დაპროექტების, კონსტრუირების, წარმოებისა და გამოცდის სფეროში, ინჟინერიის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პროცესების, სოციალურ სამართლის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლების შედეგად, სტუდენტთა მიერ ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების შეძენას, რაც ხელს შეუწყობს მათი განათლების შემდგომ გაღრმავებას, საავიაციო ინჟინერიის დარგის და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ კონცეპტრაციების მიხედვით ჩაშლა არ არის სავალდებულო და აღნიშნული არასოფრ მიდგომას წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხდება ზოგადი საავიაციო ინჟინერიის შესწავლა.

რაც შეეხება სიმტკიცის ლაბორატორიას, როგორც სასწავლო კურსს, აღნიშნული წარმოადგენს ცალსახად სამაგისტრო დონის საგანს, მსგავსი არის ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაც. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თავად ხედვა პრპროგრამასთან დაკავშირებით მის შემქნელებსა და შემფასებლებს შორის რადიკალურად განსხვავდება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებს შორის არ გვხვდება გარე შეფასება, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს სამი გარე გამოხმაურება, აქედან ორი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. შესაბამისად, ამ კუთხით პროგრამა საკმაოდ ძლიერად არის წარმოდგენილი.

აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და შესაბამისი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 50 პირი: 25 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 2 წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი; პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის დატვირთვის სქემა სემესტრულად განახლებადია და რეგულირდება სტუ-ს აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს მაღალი კომპეტენტურობის მქონე აკადემიური პერსონალი, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კვლევით პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების შეფასება სრულიად ეყრდნობა დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას. შეფასება კი დაფუძნებულია სწორედ იმ უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანია გაზიარებული იქნას დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილება, რისთვისაც აუცილებელია მოხდეს მათი სრულყოფილად შესწავლა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დავით მახვილაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, საბჭოს წევრის - ნიკა თიკანაშვილის აცილებასთან დაკავშირებით, როგორც სათათბირო ასევე ხმის მიცემის პროცესიდან, ვინაიდან დაწესებულების აზრით, ნიკა თიკანაშვილი საბჭოს განმავლობაში მოქმედებდა როგორც დაინტერესებული მხარე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა, საბჭოს წევრის ნიკა თიკანაშვილის აცილების საკითხი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ხმათა სრული უმრავლესობით, აღნიშნული შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული. საბჭოს აღნიშნული მოსაზრება დაეფუძნა აქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁴ მუხლი მე-5 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლი კი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც: ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში; ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; დ¹) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე; ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან; ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს; ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმები ავალდებულებს საბჭოს წევრს, რომ მოცემული გარემოებების არსებობისას განაცხადოს თვითაცილება. ამასთან, წარმოდგენილი რეგულაციები, დაინტერესებულ მხარესაც აძლევს შესაძლებლობას, ზემოაღნიშნული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას, საბჭოს წევრს განუცხადოს აცილება. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, საბჭოს სხდომაზე არ იკვეთებოდა საბჭოს წვრთან ნიკა თიკანაშვილთან მიმართებით რომელი გარემოების არსებობა, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლი, საბჭომ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ გაიზიარა.

დაწყების დრო: 23:27

დასრულების დრო: 01:30

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისა და განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გადადებულიყო აკრედიტაციის მომავალ საბჭოზე განსახილველად და განხილვის

პროცესში მოწვეულ იქნას ორივე დამატებითი ექსპერტი: ალექსანდრე ჯინჯიბაძე და გიორგი ნეფარიძე.

საბჭოს გადაწყვეტილებით მე-5 საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა გადაიდო საბჭოს შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 19 იანვრის 01:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

